ხელშეკრულება № 13

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

11 სექტემბერი 2018 წელი

ქალაქი თბილისი

ერთის მხრივ სსიპ **აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ გაუწყინარის საჯარო სკოლა** **ს/კ:222445780(შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო** **მიგინეიშვილის** სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. "ინოტექი", (შემდგომში - მიმწოდებელი) **წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი კეშელავას** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანია: ელექტრომოწყობილობები და აპარატურა CPV:(31600000)

ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს **1400(ათასოთხასი)** ლარს მომსახურების ჩათვლით.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 60 (სამოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე : აბაშის მუნიციპალიტეტი,სოფელი გაუწყინარი

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაშია 2018 წლის 11 სექტემბრიდან– 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ - აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ გაუწყინარის საჯარო სკოლა ს/კ : 222445780 მის: აბაშის მუნიციპალიტეტი,სოფელი გაუწყინარი ტელ: 577621818 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს:"ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი:LBRT22BG GE72LB0121110801369000 დირექტორი: /ნინო მიგინეიშვილი/ ----------	შ.პ.ს."ინოტექი" ს/კ 405133323 მის.: ქ. თბილისი, დადიანის 7 ტელ.: 595711628 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს "თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 GE58TB7774436080100003 დირექტორი: /გიორგი კეშელავა/

დანართი N1

ხელშეკრულების საგნის აღწერა

შესყიდვის ობიექტია:
ელექტრომოწყობილობები და აპარატურა CPV:(31600000)

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	ციფრული ვიდეორეგისტრატორი 4 არხი ST-AHD5004N	ცალი	1	230	230
2	1MP კამერა გარე გამოყენების RA-25A1A	ცალი	4	75	300
3	მყარი დისკი 1ტბ	ცალი	1	190	190
4	კვების ბლოკი seasame 12ვ 5ა	ცალი	1	55	55
5	ელ-კვების კონეტქორი	ცალი	4	1	4
6	BNCვიდეო-სიგნალის კონექტორი	ცალი	8	2	16
7	კაბელი CCTV 2+1 (2*0,22mm²) COPPER CAMERA CABLE	მეტრ	230	1	230
სულ ღირებულება (მონტაჟის ჩათვლით)					1400 ლარი

Ш.პ.ს. "ინოტექი"_ს დირექტორი: /გიორგი კეშელავა/

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.აბაშა

11 სექტემბერი 2018 წელი

ერთის მხრივ,სსიპ აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ გაუწყინარის საჯარო სკოლა ს/კ:222445780 (შემდგომში -- შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო მიგინეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. ინოტექი(შემდგომში - მიმწოდებელი) მისი დირექტორის გიორგი კეშელავას სახით, ვადასტურებთ, რომ შემსყიდველმა მიიღო, ხოლო მიმწოდებელმა მიაწოდა გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მხარეთა შორის 2018 წლის 11 სექტემბერს დადებული №15 ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული პუქტით რომლის ღირებულებაც შეადგენს 1400 (ათასოთხასი) ლარს.

შემსყიდველი: სსიპ აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ გაუწყინარის საჯარო სკოლა ს/კ : 222445780 მის: აბაშის მუნიციპალიტეტი,სოფელი გაუწყინარი ტელ: 577621818 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს:"ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი:LBRT22BG GE72LB0121110801369000: **დირექტორი:** /ნინო მიგინეიშვილი/ ----------	**მიმწოდებელი:** შ.პ.ს."ინოტექი" ს/კ 405133323 მის.: ქ. თბილისი, დადიანის 7 ტელ.: 555 45 99 44 ს/ს "თიბისი ბანკი" ბანკის კოდი TBCBGE22 GE58TB7774436080100003 **დირექტორი:** /გიორგი კეშელავა/ ----------